



The European Union
for Georgia
ENPARD



ნალკის ახალგაზრდული საგრანტო კონკურსის

#ვაძდიეხებთეხთმანეთს

საგრანტო სახელმძღვანელო

(საქათვედო)

ადგილობრივი ლიდერები მდგრადი განვითარებისათვის ნალკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში - ეს ნალკაა (EMBRACE Tsalka)

დოკუმენტი მომზადდა კავკასიის გახეობსდაცვითი ახასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ. დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში, განახდება, მთლიანად ან ნაწილობრივ

2021 წელი

სარჩევი

1. პროექტის შესახებ.....	3
2. საგრანტო კონკურსის შესახებ	4
3. კონკურსში მონაწილეობა	5
4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა	5
5. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები	9
დანართი 1 - სრული საპროექტო განაცხადის ფორმა	10
დანართი 1.1 - საქმიანობის ფინანსური/საინვესტიციო გეგმა (MS Excel).....	14
დანართი 1.2 - მოგება-ზარალის უწყისი ბიზნესპროექტებისათვის	15
დანართი 2 - სამოქმედო გეგმა	16

1. პროექტის შესახებ

სამიზნე გეხიგოხია:
წაღკის მუნიციპალიტეტი

დაფინანსების წყარო:
ევროკავშირი

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია წაღკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით. ჩვენი მიზანია წაღკის მუნიციპალიტეტში სიღარიბის დონის შემცირება და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდით, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვითა და კლიმატისადმი მედეგი სოფლის ეკონომიკის მხარდაჭერით.

პროექტს ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად:

- საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA)
- სოფლის განვითარების კვლევითი ინსტიტუტი (IfIs)

პროექტის სამიზნე ჯგუფები

წაღკის მუნიციპალიტეტის:

- ახალგაზრდები
- ქალები და გოგონები
- იძულებით გადაადგილებული პირები
- ეკომიგრანტები
- სოციალური საწარმოები

- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- შპშ პირები
- ეთნიკური უმცირესობები

გაითვალისწინეთ, რომ კონკურსში მონაწილეობისას მოქმედებს ასაკობრივი შეზღუდვა. კონკურსში მონაწილე აპლიკანტი უნდა იყოს 18-35 წლის.

2. საგრანტო კონკურსის შესახებ

ახალგაზრდული საგრანტო კონკურსის მიზანია ისეთი გამორჩეული პროექტების გამოვლენა და დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას და მათ ჩართულობას ადგილობრივი თემის ცხოვრებაში; რაც შედეგად უზრუნველყოფს ისეთი შესაძლებლობების გაჩენას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს ეფექტიანად უპასუხონ იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც ისინი დგანან სოფლად ცხოვრების პირობებში.

ფინანსური დახმარების **მოსალოდნელი შედეგებია** სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა და ამ გამოწვევების გარდაქმნა ინოვაციებისა და ინკლუზიური ზრდის შესაძლებლობებად. ფინანსური მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ ადგილობრივი, ცენტრალური და რეგიონული მასშტაბის ისეთ პროექტებს, რომლებიც აუმჯობესებენ ახალგაზრდების დასაქმების, განთლების, ინტეგრაციის, განვითარების დონეს, სამუშაო ადგილების ხარისხს და შრომის ბაზრის ინკლუზიურობას.

საგრანტო კონკურსის თემატური მიმართულებებია:

1. სოციალური ინტეგრაცია
2. განათლება, კულტურა, სპორტი
3. რესურსების მდგრადი მართვა
4. ტურიზმი
5. სოციალური მენარმეობის პრაქტიკის ხელშეწყობა
6. ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერება
7. ადგილობრივ დონეზე ეკონომიკური დივერსიფიკაცია და ცხოვრების დონის გაუმჯობესება
8. ცირკულარული ეკონომიკა/ნარჩენების მდგრადი მართვა
9. კლიმატგონივრული გადაწყვეტები (climate-smart solutions)
10. მწვანე ქალაქები და ტრანსპორტი
11. მიგრაცია
12. ჯანმრთელობის დაცვა

3. კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შემდეგ სუბიექტებს:

1. წალკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს 18-დან 35 წლამდე
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს (არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ფონდი და ა.შ.)
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას
4. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს
5. საინიციატივო ჯგუფებს
6. ინდივიდუალურ მეწარმეებს
7. საგანმანათლებლო დაწესებულებებს

აუცილებელია, რომ გრანტის ბენეფიციარი ცხოვრობდეს და/ან თავის საქმიანობას ახორციელებდეს წალკის მუნიციპალიტეტში.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს:

1. პოლიტიკურ პარტიებს
2. რელიგიურ ორგანიზაციებს
3. ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო ინსტიტუტი, ლომბარდი და ა.შ.)
4. ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯგუფებს და ა.შ., რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური პირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას.

4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა

გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3,000 ევროს.

ხარჯები, რომლებიც არ დაფინანსდება საგრანტო რესურსით

საგრანტო რესურსით არ დაფინანსდება შემდეგი ხარჯები:

1. ხელფასები
2. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ფრინველების, ფუტკრის ოჯახების შეძენა
3. უძრავი ქონების შეძენა
4. ავტომობილის, მიკროავტობუსის, ავტობუსის და სხვ. (გარდა სპეციფიური სატრანსპორტო საშუალებისა, რომელიც არის გარემოსთან მეგობრული და ინოვაციური კონკრეტული პროექტის კონტექსტში) შეძენა
5. სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა
6. კვლევების ან ტრენინგების ინდივიდუალური დაფინანსება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს
7. აკადემიური და სამეცნიერო კვლევები
8. სასწავლო/სამეცნიერო გრანტები
9. ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა
10. ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები
11. ზარალი, გამონვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად
12. მესამე მხარისათვის გაცემული სესხები
13. სადაზღვევო ხარჯები
14. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები

კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

1. სრული საპროექტო განაცხადის წარდგენა
2. მონიტორინგი და შეფასება
3. გასაუბრება
4. საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ონლაინ, ქართულ ენაზე. განაცხადზე თანდართულ უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

სრული საპროექტო განაცხადის წარდგენა

საგრანტო კონკურსის დეტალები:

1. სრული საპროექტო განაცხადის ფორმები განთავსდება წალკის **LAG-ის ვებ-გვერდზე, 2021 წლის 16 აპრილს**
2. სრული საპროექტო განაცხადების მიღების ვადაა: **10 მაისი, 18:00**
3. სრული საპროექტო განაცხადების გამოგზავნა შეგიძლიათ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: grants@tsalkalag.ge

სრული საპროექტო განაცხადების მიღება ხდება მხოლოდ ონლაინ. განაცხადების წარმოდგენისას, გთხოვთ შეიღებოთ სათაურის ველში მიუთითოთ შემდეგი: **“EU-Tsalka - ახალგაზრდული საგრანტო კონკურსი“**.

მიღებული საგრანტო განაცხადების სრულყოფილი შეფასების მიზნით, განხორციელდება ადგილზე მონიტორინგი წინასწარ დადგენილი და შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით.

საგრანტო კონკურსში ერთ განმცხადებელს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა.

წინამდებარე კონკურსთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით CENN-ის თანამშრომლებს:

მარი კიკვაძეს, ელ.ფოსტის: marie.kikvadze@cenn.org ან/და მობილურის მეშვეობით, ნომერზე: +995 577 95 90 20

მელანო ტყაბლაძეს, ელ.ფოსტის: melano.tkabladze@cenn.org ან/და მობილურის მეშვეობით, ნომერზე: +995 599 54 75 79

არასრულად წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან.

სრული საპროექტო განაცხადების მონიტორინგი და შეფასება

საპროექტო განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი

1. იდეის/პრობლემის აქტუალობა და შესაბამისობა კონკურსის მიზანთან

რამდენად აქტუალურია იდეა/პრობლემა მიზნობრივი ადგილმდებარეობისათვის და რამდენად არის იგი თანხვედრაში კონკურსის მიზანთან, კერძოდ - რამდენად უწყობს იდეა/საგრანტო

განაცხადი ხელს ადგილობრივი ახალგაზრდების დასაქმებას, მათ შორის, შპს პირების, ეთნიკური უმცირესობების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკომიგრანტებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერებას

2. იდეის შესაბამისობა პროექტის პრიორიტეტებთან

საგრანტო განაცხადში აღწერილი იდეა უნდა შეესაბამებოდეს საგრანტო კონკურსის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას (იხ. თავი 2)

3. პროექტის ბიუჯეტი და საგრანტო თანხა

პროექტის ბიუჯეტი უნდა იყოს გონივრული და ასახავდეს გრანტის რესურსების ეფექტიან მოხმარებას; მოთხოვნილი ბიუჯეტი არ უნდა შეიცავდეს აკრძალულ ხარჯებს (იხ. თავი 4.2); ასევე, მოთხოვნილი თანხა უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის დაფინანსების კრიტერიუმებს

4. პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა

გეგმაში მოცემული აქტივობები შეფასდება გონივრულობისა და დროითი ჩარჩოს მიხედვით (საგრანტო განაცხადში აღწერილი პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს)

5. ცოდნა და გამოცდილება

შეფასდება განმცხადებლის ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით

6. პროექტის განხორციელების რისკები და მათი შემცირების გზები

შეფასდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზი;

7. პროექტის ინოვაციურობა

შეფასდება განმცხადებლის ინოვაციური ხედვა სოციალური/გარემოსდაცვითი პრობლემის მოსაგვარებლად;

8. პროექტის მდგრადობა

შეფასდება პროექტის კომერციული მხარე, თვითკმარობა რა შედეგების მდგრადობა

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით შერჩეული პროექტები შეფასდება კომისიის წევრების მიერ. კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები ჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ციფრი, რაც წარმოადგენს კონკრეტული საგრანტო განაცხადის შეფასების საბოლოო ქულას. შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგის შემთხვევაში.

გასაუბრება

გასაუბრების ეტაპზე გადასულ აპლიკანტებთან ჩაინიშნება გასაუბრება კომისიის მიერ წინასწარ შეთანხმებული დროის გათვალისწინებით.

საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

გამარჯვებულ პროექტებთან, ყველა ეტაპის გავლის შემდგომ გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.

5. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები

შერჩევის შემდეგ პროექტის განაცხადები საბოლოო განხილვისათვის წარედგინება CENN-ის პასუხისმგებელ პირს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე CENN აღმოაჩენს შეთანხმებული და აუცილებელი პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს, ის უფლებამოსილია, შეაჩეროს გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტები სრულ წესრიგშია, წარმატებული განმცხადებელი ხელს მოაწერს გრანტის ხელშეკრულებას CENN-თან. ხელშეკრულებაში დეტალურად იქნება გაწერილი ორივე მხარის როლი და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაზე, ასევე, შეთანხმების პირობებზე.

ანგარიშების ვალდებულებები და პროცედურები

პროექტით დამტკიცებულ ბიუჯეტში, შესყიდვების განხორციელების პროცესში, სადაც დღის წესრიგში გვხვდება დღგ-თი შესყიდვის აუცილებლობა, დღგ-ს თანხის ოდენობა (18 %) იქნება გამარჯვებული პროექტის ბენეფიციარის ვალდებულება ანგარიშსწორებისთვის მყიდველთან.

შესყიდვებთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული სხვა დეტალური ინფორმაცია, გამარჯვებულ ბენეფიციარებს მიეწოდებათ CENN-ის ადმინისტრაციისა და ფინანსური დეპარტამენტების წარმომადგენლების მიერ ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში.

დანართი 1 - სრული საპროექტო განაცხადის ფორმა

პროექტის ფორმატი

- პროექტული წინადადება უნდა შემუშავდეს **ქართულ ენაზე**. განაცხადზე თანდართულ უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამტკიცებული თარგმანი
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი დოკუმენტის სახით: **MS Word და PDF** ფორმატში. პროექტის ზოგადი ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს MS Excel ფორმატში. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ყველა ცხრილს, დანართს, თუ სხვა დამატებით დოკუმენტაციას; ყველა დანართი უნდა იყოს ხელმონწერილი და/ან ბეჭდით დამოწმებული
- საპროექტო განაცხადი უნდა გამოგზავნოთ ხელმონწერილი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: grants@tsalkalag.ge
- ფონტის ფერი: **შავი**
- ფონტის ზომა: **9** ან **10** (გარდა საკითხების სათაურებისა, ამასთან, გამონაკლისს წარმოადგენს დანართების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- სტრიქონებს შორის დაშორება: 9-იანი ზომის ფონტის შემთხვევაში - **1.5**, ხოლო 10-იანი ზომის ფონტის შემთხვევაში - **1.15**
- ცხრილები, დიაგრამები და სქემები: პროექტულ წინადადებაში არსებული ყველა ცხრილი, დიაგრამა და სქემა უნდა იყოს დანომრილი და დასათაურებული
- ცხრილებში, დიაგრამებსა და სქემებში გამოყენებული ფონტის ზომა არ არის დადგენილი, თუმცა, ყველა დასახელება და რიცხვი უნდა იკითხებოდეს

2. ზოგადი ინფორმაცია

2.1 საგრანტო პროექტის სახელწოდება:

2.2 საქმიანობის სფერო:

2.3 საგრანტო კონკურსის სტრატეგიული მიმართულება/ები:

2.4 პროექტის განხორციელების ადგილი (სოფელი, მისამართი):

2.5 პროექტის განხორციელების პერიოდი: _____ თვე
(პროექტის განხორციელების მანძილზე ვადაა 6 თვე)

2.6 პროექტის ბიუჯეტი:

პროექტის საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
___ ლარი

3. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

3.1 განმცხადებლის სტატუსი

- წალკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები (15-დან 35 წლამდე)
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ფონდი და ა.შ.)
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- წალკის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო სამართლის იურიდიული პირები
- საინიციატივო ჯგუფი
- ინდივიდუალური მეწარმე
- საგანმანათლებლო დაწესებულება - სკოლები, უმაღლესი და/ან პროფესიული სასწავლო დაწესებულება

3.2 განმცხადებლის რეკვიზიტები

სახელი/გვარი / ორგანიზაციის დასახელება	
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი	
დაბადების / დაარსების თარიღი	
ორგანიზაციის სტატუსი	
მისამართი (ფაქტობრივი)	
საკონტაქტო ტელეფონი	
ელ. ფოსტა	

3.2.3. მიუთითეთ თქვენი სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმ)
- იძულებით გადაადგილებული პირი
- მარტოხელა დედა
- სოციალურად დაუცველი
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

4. სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემის აღწერა (1 გვერდი)

(გთხოვთ დეტალურად აღწეროთ პროექტთან დაკავშირებული ახსებულ მდგომარეობა სამიზნე მუნიციპალიტეტში. ჩა ფაქტორები განაპირობებს პროექტით წახმოდგენილი იდენის განხორციელების საჭიროებას - ჩა სოციალური თუ გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარება გსურთ?). ასევე ახსებულ თავში უნდა შევიდეს იმ სფეროს ანალიზი, რომელსაც პასუხობს პროექტი). .

5. პროექტის აღწერა (2 გვერდი)

(გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ თქვენს მიერ განსახორციელებელი პროექტი და მისი ახსი).

6. განმცხადებლის გამოცდილება და CV

(გთხოვთ, აღწეროთ პროექტით წახმოდგენილი საქმიანობების განხორციელების მიმართებით თქვენი გამოცდილება და წახმოდგინეთ თქვენი CV)

7. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქტის/სერვისის მომხმარებლები (ბენეფიციარები აღწერეთ დეტალურად მისაღები სარგებლის მიხედვით) (2 გვერდი)

(გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ ვინ იქნება პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სერვისის/პროდუქტის პირდაპირი და აპირირებული მომხმარებლები. ასევე აღწერეთ ხარდენობიანი ან/და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

8. პროექტის SWOT ანალიზი (1 გვერდი)

(აღნიშნულ თავში უნდა შევიდეს შემდეგი სახის ინფორმაცია: პროექტისათვის დამახასიათებელი ძლიერი მხარეები, უპიჯატესობები, სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები, პოტენციური და საფრთხეები).

STRENGTHS - ძლიერი მხარეები

(ჩამოთვალეთ და შემდგომ აღწერეთ როგორ გსურთ მათი განვითარება)

1. _____
2. _____
3. _____

WEAKNESSES - სუსტი მხარეები

(ჩამოთვალეთ და შემდგომ აღწერეთ როგორ გსურთ მათი მინიმიზება)

1. _____
2. _____
3. _____

OPPORTUNITIES - შესაძლებლობები

(ჩამოთვალეთ და შემდგომ აღწერეთ როგორ გეგმავთ მათ გამოყენებას)

1. _____
2. _____
3. _____

THREATS - საფრთხეები

(ჩამოთვალეთ და შემდგომ აღწერეთ რა გზებით და მეთოდებით გეგმავთ მათ არიდებას)

1. _____
2. _____
3. _____

9. საქმიანობის ფინანსური/საინვესტიციო გეგმა (1 გვერდი)

(გთხოვთ დეტალურად შეავსოთ საინვესტიციო გეგმის ფორმა (დანართი 1.1.) და ხელმოწეხილი დაუხოთ განაცხადის ფორმას, MS Excel-ის ონლაინ ვერსიასთან ერთად)

დანართი 1.1 - საქმიანობის ფინანსური/საინვესტიციო გეგმა (MS Excel)

(გეგმის მითითებულ ფორმაში შევიძლიათ დაამატოთ მუხლები საჭიროებისამებ; გეგმა წახმოდგენილი უნდა იყოს დანახთვის სახით ხედმოწეხიდი და ასევე, ედექტხონუდი MS Excel ვეხსია)

(ქვემოთ მოცემული სურათი ჩასმულია მხოლოდ ილუსტრაციისთვის)

დანართი 1.1. - ფინანსური/საინვესტიციო გეგმა						
პროექტის დასახელება -						
ფინანსური/საინვესტიციო გეგმა						
№	ხარჯების დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	საბალო დირებუ ლება	ჯამი (სულ)	მომწოდებლი/შემსრუ ლებელი
1	შენობა-ნაგებობები	კვ.მ				
1.1.	სარემონტო სამუშაოები	კვ.მ				
1.2.	კომუნიკაციების მოწყობა	კვ.მ				
1.3.	შენობა-ნაგებობები მშენებლობა	კვ.მ				
1.4.	სხვა	კვ.მ				
1.5.	სხვა					
	სულ შენობა-ნაგებობების ხარჯი					
2	ძირითადი საშუალებები (ინვენტარი, ავეჯი, ტექნიკა)					
2.1.	ინვენტარი N1 შეძენა	ერთ.				
2.2.	ინვენტარი N2 შეძენა	ერთ.				
2.3.	სხვა	ერთ.				
2.4.	სხვა	ერთ.				
	სულ ძირითადი საშუალებების ხარჯი					
3	ტრანსპორტირების ხარჯი					
3.1.	დააკონკრეტეთ					
3.2.	დააკონკრეტეთ					
3.3.	დააკონკრეტეთ					
3.4.	დააკონკრეტეთ					
	სულ ტრანპორტირების ხარჯი					
4	სხვა ხარჯები					
4.1.	დააკონკრეტეთ					
4.2.	დააკონკრეტეთ					
4.3.	დააკონკრეტეთ					
4.4.	დააკონკრეტეთ					
	სულ სხვა ხარჯები					
	სულ ჯამი					
შენიშვნა: ბიჯეტში მოცემული უნდა იყოს ხარჯები დღგ-ს ჩათვლით.						
	საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ბიუჯეტის შესაბამისი მუხლები					
	განმცხადებელი					

დანართი 1.2 - მოგება-ზარალის უწყისი ბიზნესპროექტებისათვის

(უწყისის მითითებულ ფორმაში შეგიძლიათ დაამატოთ მუხებში საჭიროებისამებ; უწყისი წახმოდგენილი უნდა იყოს დანახთვის სახით ხელმოწეხილი და ასევე, ელექტრონული MS Excel ვეხსია)

დანართი 1.2. - მოგება-ზარალის უწყისი პროექტის დასახელება -		
მოგება-ზარალის უწყისი		
დანართი 5 - მოგება-ზარალის უწყისი	დაეკემილი სამუალო წლიური	z
შემოსავლები გუჯული მომხსურებებიდან		
შემოსავლი მომხსურებებიდან, სერვისიდან (დააკონკრეტეთ)		
შემოსავლი მომხსურებებიდან, სერვისიდან (დააკონკრეტეთ)		
სხვა		
რეალიზებული მომხსურებების თვითღირებულება		
მომხსურებების პირდაპირი ხარჯები		
სხვა		
ერთობლივი მოგება	0	0%
დღე	0	0%
ხაოპერაციო ხარჯები		
ადმინისტრაციის ხელუასები		0%
მარეტორი და ადმინისტრაციის გაუღების და მარეტორი		0%
მუღღეჯორა და IT		0%
სხვა		0%
ადმინისტრაციის ხელუასები		0%
რეკლამა და მარეტორი		0%
მინდინარე მკორე რემონტი (სანტექნიკა, ელექტრონა და ა.შ.)		
კომუნიკაციის და ინტერნეტი		0%
საოქონე ხარჯები		0%
ხაოპერაციო მოგება	(0)	0%
არასაოპერაციო ხარჯი / შემოსავლი		
არასაოპერაციო ხარჯი		0%
სარეკლამო განაკუთი		0%
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		0%
არასაოპერაციო შემოსავლი		0%
სხვა ხარჯი		0%
სხვა არასაოპერაციო შემოსავლი		0%
გვეთა		0%
მოგება გადასახადებამდე		0%
სხვა		0%
მოგების გადასახადი		0%
წმინდა მოგება		0%
საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ შესაბამისი მუხლები		
განმსხაღებლი		
ხელმოწერა		

დანართი - სამოქმედო გეგმა (1-2 გვერდი)

(აღნიშნულ თავში წახმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტის ფაზგებში განხორციელებულ საქმიანობებზე პუნქტობრივად)

დანართი 2 - სამოქმედო გეგმა

#	საქმიანობა	თვე						პასუხისმგებელი პირი
		1	2	3	4	5	6	
1	დააკონკრეტეთ აქტივობა							
2	დააკონკრეტეთ აქტივობა							
3	დააკონკრეტეთ აქტივობა							
4	დააკონკრეტეთ აქტივობა							

შენიშვნა: საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ აქტივობები

განმცხადებელი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____